# მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი იმუნომოდულატორი „კამელინი“

ვიაჩესლავ მაკაევი (დაბადების თარიღი 1924 წელი) პიატიგორსკელი აკადემიკოსი, ლინგვისტი გახლავთ. მიუხედავად მისი ხანდაზმული ასაკისა დღესაც აქტიურად კითხულობს ლექციებს პიატიგორსკის უნივერსიტეტში. შარშან, მარტში კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ხორხის სიმსივნის დიაგნოზი: „ხორხის ზედა და ხორხის წინა ცხიმოვანი უჯრედების პროექციაში აღენიშნება ცენტრისკენ მდებარე არასწორი — მომრგვალო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, ზომით 25-30 მმ. პაციენტმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი, მაგრამ მდგომარეობა უფრო დამძიმდა. მას დაეწყო ყლაპვის პრობლემები, თითოეულ ულუფას სითხის დახმარებით იღებდა. პაციენტი საქართველოში მცხოვრები ახლობლის საშუალებით გაეცნო „კამელინის“ კვლევებს და გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მკურნალობა „კამელინი“M1-ინიექციითა და „კამელინი“M2-კაფსულებით. ზაფხულში „კამელინფლუ“-სპრეი ჯერ არ იყო გამოსული და ინიექციას არა მარტო იკეთებდა კუნთში, არამედ აზავებდა წყალთან და იყენებდა სავლების სახით. 20-დღიანი კურსის გავლის შემდეგ პაციენტს გაუკეთდა განმეორებითი ანალიზები, რომლის შედეგად, სპეციალისტებმა შენიშნეს მკურნალობის დადებითი შედეგები, რაც გამოიხატებოდა სიმსივნური წარმონაქმნის ზომაში შემცირებაში. ბატონი ვიაჩესლავის სიტყვებით, ექიმები განცვიფრებულები დარჩნენ, სიმსივნური წარმონაქმნი ზომაში 15%-ით იყო შემცირებული. აქედან გამომდინარე, მან გააგრძელა კამელინოთერაპიის კურსი. ამა წლის 27 იანვარს, კვლავ განმეორებით ჩაიტარა ტომოგრაფიული კვლევა, რომელმაც სიმსივნის სრული გაქრობა აჩვენა.

თავის წერილში, აკადემიკოსი მაკაევი ულრმეს მადლობას უხდის დახმარებისთვის კომპანია „კამელინს“ და ნებას რთავს, გამოიყენოს მისი პირადი მონაცემები (ავადმყოფობის ისტორია) მოხსენებებსა და პუბლიკაციებში, ასევე გამოთქვამს შემდგომი ურთიერთობების სურვილს.

საქართველოში არც ერთ პრეპარატს არ ჰქონია პატივი, გაევლო ისეთი დონის სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, როგორიც „კამელინს“. ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძის მიერ შექმნილმა პრეპარატ „კამელინმა“ უმოკლეს დროში მოიარა მსოფლიოს უდიდესი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრები, სადაც ნათლად დადასტურდა მისი უნიკალური იმუნომოდულატორული, ანტისიმსივნური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანთების საწინააღმდეგო და სხვა თვისებები. ადრეული კვლევები, რომლის საფუძველზე მტკიცდება „კამელინის“ შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. „კამელინზე“ გამოკვლევები დაწყებულ იქნა 1950 წელს. ქირურგიის ინსტიტუტში, აკადემიკოს კ. დ. ერისთავის უშუალო ხელმძღვანელობით, ასევე სისხლის გადასხმის ინსტიტუტში. ერთდროულად ჩატარებულ იქნა პრეპარატის გამოკვლევები ექსპერიმენტულ სიმსივნეებზე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პათფიზიოლოგიის კათედრაზე პროფესორ თ. გ. ნათაძის ხელმძღვანელობით.

პირველ ეტაპზე ცდები ტარდებოდა სარძევე ჯირკვლების სპონტანური და გადანერგილი სიმსივნეების მქონე თეთრ თაგვებზე. ამ დაკვირვებათა შედეგად, დადგენილ იქნა, რომ პრეპარატი კამელინი აფერხებს პირველადი სიმსივნეების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს უკვე განვითარებული სპონტანური ახალწარმონაქმნების განვითარებას. ამ უკანასკნელთა ჰისტომორფოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინა სისხლჩაქცევების არსებობა სიმსივნის სტრომაში და სიმსივნური უჯრედების ნეკროზი.

2 წლის შემდეგ ექსპერიმენტები გამეორებულ იქნა ლენინგრადში, ონკოლოგიის ინსტიტუტში, აკადემიკოს ლ. მ. შაბადის ლაბორატორიაში. ექსპერიმენტებში გამოყენებულ იქნა ასევე სხვადასხვა ორგანოს კიბოთი დაავადებული ვირთაგვები. ცდის დაწყებისას გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელიც ამოწმებდა ცდების მსვლელობას და მიღებულ შედეგებს, შემოწმების მონაცემების საფუძველზე. კომისია მივიდა შემდეგ დასკვნამდე: გამოსაცდელი პრეპარატი დამთრგუნველ გავლენას ახდენს სიმსივნურ ზრდაზე. ამ პრეპარატის შეყვანის გავლენით ხდება სიმსივნეების შესამჩნევი შემცირება და სრული გაქრობაც კი.

თითქმის ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული „კამელინის“ გამოცდისას ექსპერიმენტული სიმსივნის მოდელზე ყოფილი საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში, მოსკოვის კიბოს ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტში. სამუშაოები ტარდებოდა აკადემიკოს მ. მ. მაევსკის ხელმძღვანელობით.

ზემოაღნიშნული პრეპარატის გამოცდისა და ექსპერიმენტში მისი არატოქსიკურობის შესწავლის კვალდაკვალ აკადემიკოს კ. დ. ერისთავის წინადადებით, მოხდა პრეპარატ კამელინის სამკურნალო მოქმედების შესწავლა კლინიკურ პირობებში ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე ავადმყოფებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ავადმყოფს დაავადების შორს წასული ფორმები ჰქონდა. მათ უმრავლესობას აღენიშნებოდა სიმსივნის რეციდივი მრავალჯერადი ოპერირების შემდეგ. ავადმყოფთა მძიმე მდგომარეობისა და მათი მკურნალობის დაავადების ტერმინალურ სტადიაზე დაწყების მიუხედავად, კამელინის მოქმედება ეფექტიანი აღმოჩნდა. ავადმყოფები დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ მკურნალობის შემდეგ 1-დან 9 წლამდე ვადით.

ამ პერიოდიდან დღემდე პრეპარატი მოიხმარა ათასობით ონკოდაავადებულებმა, მათ შორის უმძიმეს სტადიაში მყოფ ავადმყოფებმაც. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის უმეტეს შემთხვევებში მიღწეულ იქნა თერაპევტული ეფექტი: საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების, ტემპერატურის დაწევის, ტკივილების და პირღებინების გაქრობის სახით, სისხლის სურათის გაუმჯობესებით, მეტასტაზების ზომების შემცირებით, შრომისუნარიანობის აღდგენითა და სიცოცხლის გახანგრძლივებით.

ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინი“, გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური და სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული დაავადებების დროს.

**ციცინო გაგნიძე**

*კავკასიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი*

კამელინი
CAMELYN

**„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ:**
**2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33-10-89; 599 58-09-07; 577 73-56-51; 599 23-03-33;**
www. Camelyn.ge
R